27 წელი

ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანებიდან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საიას წარმატებული სტრატეგიული სამართალწარმოების მიმოხილვა სტრასბურგის სასამართლოში

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

27 წელი ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანებიდან

საიას წარმატებული სტრატეგიული სამართალწარმოების მიმოხილვა სტრასბურგის სასამართლოში

თბილისი
2026

გამოცემის ხელმძღვანელები:

თამარ ონიანი

ალექსანდრე პატარაია

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2026, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შინაარსი

შესავალი 5

სიცოცხლის უფლება (მუხლი 2) 6

1. **ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ** 6
2. **ძიძავა რუსეთის წინააღმდეგ** 6
3. **მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ** 7
4. **ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ** 7
5. **ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ** 8
6. **ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ** 8
7. **გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ** 9
8. **მატკავა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ** 9
9. **სტორიმანს-ვერჰულსტ და სხვები რუსეთის წინააღმდეგ** 10

წამების აკრძალვა (მუხლი 3) 10

10. **ჩოხელი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ** 10
11. **გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ** 11
12. **ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ** 11
13. **კვირიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ** 12
14. **ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ** 12
15. **მამულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ** 13

სამართლიანი სასამართლოს უფლება (მუხლი 6) 13

16. **მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ** 13
17. **ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ** 14
18. **კალანდია საქართველოს წინააღმდეგ** 14
20. **ღლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ** 15

პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მუხლი 8) 16

21. **ნ.ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ** 16
22. **ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ** 16
23. **ა. დ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ** 17

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მუხლი 11) **17**
24. კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ **17**
25. ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ **18**
26. ცაავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ **19**
27. მექვაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ **19**
საკუთრების უფლება (1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი) **20**
28. კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ **20**
29. შპს „ბექანასი“ საქართველოს წინააღმდეგ **21**
თავისუფალი არჩევნების უფლება (1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი) **21**
30. რამიშვილი საქართველოს წინააღმდეგ **21**

შესავალი

2026 წლის 27 აპრილს 27 წელი გავიდა, რაც საქართველო 1999 წელს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო გახდა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმეთა წარმოება 2004 წელს დაიწყო და 22 წლის განმავლობაში 180-ზე მეტი საჩივარი გააგზავნა, რომელთაგან 50-ზე მეტი შეეხებოდა 2008 წლის ომით დაზარალებულთა საქმეებს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საიას სტრატეგიულმა სამართალწარ-მოებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც ინდივიდუალური უფლებების დაცვაზე, ისე საქართველოში ადამიანის უფლებათა პრობლემების გამოვლენასა და, არაერთ შემთხვევაში, მათ გადაჭრასა ან მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ამასთანავე, საიას სტრატეგიულმა სამართალწარმოებამ დიდი წვლილი შეიტანა ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის განვითარებასა და მნიშვნელოვანი სამართლებრივი სტანდარტების ჩამოყალიბებაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული რეპრესიული რეალობის გათვალის-წინებით, საია კრიზისულ და მტრულ გარემოში აგრძელებს საქმიანობას. სტრატეგიული სამართალწარმოება კვლავ ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება.

ამჟამად, საია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არაერთ საქმეს აწარმოებს, რომლებიც შეეხება საქართველოში ადამიანის უფლებათა მიმდინარე, სისტემურ დარღვევებს, მათ შორის, არასათანადო მოპყრობას, შეკრების თავისუფლებას და პოლიტიკურ მართლმსაჯულებას. ამასთანავე, ორგანიზაცია აგრძელებს საქმეების წარმოებას რუსეთის წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოს ომის კონტექსტში.

წლების განმავლობაში საიამ ევროპულ სასამართლოში არაერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამართლებრივი დავა მოიგო. წინამდებარე დოკუმენტში თავმოყრილია საკვანძო გადაწყვეტილებები.

სიცოცხლის უფლება (მუხლი 2)

1. ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ

ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ **(2011)** – no. 35403/06 – საქმეში სასამართლომ გამოიკვლია მომჩივნის შვილის გარდაცვალება, რომელიც ციხის საკუჭნაოში ჩამოხრჩობილი იპოვეს. გარდაცვლილის დედა ამტკიცებდა, რომ ის, თვითმკვლელობის ნაცვლად, სცემეს და მოკლეს. სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ ჩაატარა სიკვდილის ეფექტიანი გამოძიება, რამაც გამოიწვია მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ნაწილის დარღვევა და საქმე უფრო ფართო ჯგუფში მოათავსა, რომელიც პატიმრობაში სიკვდილიანობასა და არასათანადო მოპყრობას, ასევე, საქართველოში სისტემურ საგამოძიებო ხარვეზებს ეხება. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2006 წელს გაიგზავნა.**

გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობის პროცესში მინისტრთა კომიტეტმა საქმეთა ჯგუფი შექმნა, რომელიც ცინცაბაძის ჯგუფის სახელით არის ცნობილი და ის მინისტრთა კომიტეტის **გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშაა.** ამ ჯგუფის საქმეებით შესაძლებელი გახდა საქართველოში წამების/სიცოცხლის მოსპობის საკითხებზე საგამოძიებო უწყების დამოუკიდებლობის შესახებ ინსტიტუციური მონიტორინგის განხორციელება ევროპის საბჭოს მხრიდან.

2. ძიძავა რუსეთის წინააღმდეგ

ძიძავა რუსეთის წინააღმდეგ **(2016)** – no. 16363/07 – გადაწყვეტილება შეეხება რუსეთიდან საქართველოს მოქალაქის გამოძევებისას, მის მიმართ არაადამიანურ მოპყრობას და მისი სიცოცხლის უფლების დარღვევას.

2006 წლის 4 ოქტომბერს მომჩივნის მეუღლე რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა დააკავეს და სანკტ-პეტერბურგის უცხოელთა დაკავების ცენტრში მოათავსეს, სადაც იგი ღირსების შემლახავ, მძიმე საპატიმრო პირობებში იმყოფებოდა. მიუხედავად ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა, მომჩივნის მეუღლეს არ აღმოუჩინეს სათანადო სამედიცინო დახმარება. 2006 წლის 16 ოქტომბერს იგი ავტობუსით სანკტ-პეტერბურგიდან მოსკოვის აეროპორტში გადაიყვანეს, ქვეყნიდან გამოძევების მიზნით. დაახლოებით 9-საათიანი მგზავრობის დროს, ჯანმრთელობის რთული მდგომარეობის მიუხედავად, არ მისცეს ფანჯრის ჩამოწევის საშუალება. იგი აეროპორტში, ავტობუსიდან გადმოსვლისთანავე, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ დაეცა და გარდაიცვალა. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2007 წელს გაიგზავნა.** ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის დარღვევა), მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-13 მუხლები (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებების უფლება) დაარღვია.

ეს საქმე შედის ჯგუფში „ბერძენიშვილი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“, რომლის აღსრულებაც **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემდებარება.

3. მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ

მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ (2018) – no. 44973/09 – საქმე შეეხება მომჩივნის შვილის, გიორგი ტოროშელიძის გარდაცვალებას ციხეში ტუბერკულოზის არაეფექტიანი და დაგვიანებული მკურნალობის შემდეგ, ასევე, ამ ფაქტის არასათანადო გამოძიებას. ტოროშელიძეს ტუბერკულოზის დიაგნოზი 2008 წლის 19 დეკემბერს დაუდგინდა. მას ეფექტიანი მკურნალობა დაახლოებით 4 თვისა და 2 კვირის განმავლობაში არ ჩასტარებია. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2009 წელს გაიგზავნა.** ევროპული სასამართლოს შეფასებით, ადეკვატური მკურნალობის ასეთი ხანგრძლივი დროით დაგვიანება, მითუმეტეს იმ პირობებში, როცა დაავადება სწრაფად პროგრესირებდა, ვერ იქნებოდა გამართლებული მედიკამენტების მიმართ მგრძნობელობის დასადგენად დანიშნული ტესტის შედეგების გვიან მიღებით, მითუმეტეს, რომ ამ ტესტის უფრო ადრე დანიშვნა შეიძლებოდა. გარდა ამისა, ევროპული სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ტოროშელიძის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო და საგამოძიებო მოქმედებები დროულად ჩატარდა, საგამოძიებო დეპარტამენტის მხრიდან ამ პროცესში მნიშვნელოვანი ხარვეზები იყო დაშვებული. იმავდროულად, საგამოძიებო ორგანოსა და ინციდენტში მონაწილე პირებს შორის ინსტიტუციური კავშირი ეჭვებს აჩენდა ჩატარებული გამოძიების დამოუკიდებლობის მიმართ. შედეგად, საქმეში მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) მატერიალური და პროცედურული ნაწილის დარღვევები დადგინდა.

საქმე შედის ჯგუფში „მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ“. ამ ჯგუფის აღსრულება სტანდარტულ ზედამხედველობას ექვემდებარება და მის ფარგლებში ევროპის საბჭო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო დახმარებისა და ტუბერკუ-ლოზის მკურნალობის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს ამონიტორინგებს.

4. ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ

ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (2019) – no. 50375/07 – საქმეში ევროპულმა სასამართლომ გამოიკვლია მომჩივნის განცხადება, რომელიც შეეხებოდა ამ უკანასკნელის შვილის მკვლელობას საპოლიციო ოპერაციის დროს და შემდგომ არაეფექტიან გამოძიებას. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2007 წელს გაიგზავნა.**

სასამართლომ დაადგინა, რომ მკვლელობის პირველი გამოძიება არასრულყოფილი იყო, რადგან ის სროლაში მონაწილე პოლიციელებმა ჩაატარეს. მეორე გამოძიება, რომელსაც გამამტყუნებელი განაჩენი მოჰყვა, დანაშაულის ჩადენიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყო და, გარკვეულწილად, ეფუძნებოდა თავად პირველი მომჩივნის მიერ ჩატარებულ საგამოძიებო სამუშაოებს. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირველი მომჩივნის მცდელობამ, გამოეაშკარავებინა პოლიციის დანაშაული და კორუფცია, საბოლოოდ, პოლიციელის მიერ მისი მკვლელობა გამოიწვია. ეს კი ადასტურებს, რომ ხსენებული შემთხვევა ხელისუფლების მიერ თავდაპირველი მკვლელობის დამნაშავეების დევნისადმი გულგრილი დამოკიდებულის შედეგი იყო.

აღსრულებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების განხილვა გრძელდება ცინცაბაძის საქმეების ჯგუფის ფარგლებში, რომელიც **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემ-დებარება.

5. ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ

ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ **(2022)** – no. 59333/16 – ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა. საქმე ეხება მამუკა მიქაუტაძეს, რომელმაც შსს-ში გამოკითხვიდან მეორე დღეს თბილისის ზღვაზე თავი მოიკლა. ნარკოტიკულ დანაშაულთან მიმართებით გამოძიების ფარგლებში მამუკა მიქაუტაძე 2013 წლის 5 ივლისს გამოჰკითხეს, რა დროსაც მის მიმართ, სავარაუდოდ, განხორციელდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2016 წელს გაიგზავნა.**

ევროპულმა სასამართლომ გამოძიება ერთიანობაში შეაფასა და ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ 2016 წელს პროკურატურამ გამოძიება დანაშაულის არარსებობის გამო დახურა, თუმცა უპასუხოდ დატოვა საქმესთან დაკავშირებული გადამწყვეტი კითხვები. სასამართლომ დაადგინა, რომ მიქაუტაძის საქმეზე გამოძიება არ ჩატარდა საფუძვლიანად, რამაც ძირი გამოუთხარა მის ეფექტიანობას. ამასთანავე, სასამართლოს განმარტებით, გამოძიება დაიწყო 2013 წლის 6 ივლისს და დაიხურა 2016 წლის 25 მარტს, თუმცა 2014 წლის ნოემბრიდან 2016 წლის მარტამდე არანაირი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა, ხოლო მთავრობას არ წარმოუდგენია განმარტებები ამ უმოქმედობასთან დაკავშირებით.

აღსრულებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების განხილვა გრძელდება ცინცაბაძის საქმეების ჯგუფის ფარგლებში, რომელიც **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემ-დებარება.

6. ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ

ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ **(2022)** – no. 73975/16 – საქმე ეხება ოჯახში ძალადობას და ფემიციდს, კონკრეტულად, 19 წლის ქალის (A-ის შვილისა და B-ის დედის) ფემიციდს მისი ყოფილი ქმრის, პოლიციელის მხრიდან, რომელმაც, ოჯახში სისტემატური ძალადობის ისტორიის შემდეგ, მას სამსახურებრივი იარაღიდან ესროლა ადგილობრივ პარკში. ეს განაპირობა სამართალდამცავი ორგანოების პასიურმა და შემგუებლურმა დამოკიდე-ბულებამ. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2016 წელს გაიგზავნა**.

სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ დაარღვია მე-2 მუხლი მისი არსებითი პოზიტიური და პროცედურული ვალდებულებების შესაბამისად, კონვენციის მე-14 მუხლთან ერთად, ძალადობის შესახებ შეტყობინების შემდეგ დამცავი ზომების განხორციელების უუნარობის, ასევე, პოლიციელებისა და პროკურორების ქმედებების არაეფექტიანი გამოძიების გამო. ამ გამოძიებამ ასევე უგულებელყო ნებისმიერი გენდერული დისკრიმინაცია, რამაც, შესაძლოა, გავლენა იქონია სამართალდამცავი ორგანოების ქცევაზე. სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობის საფუძვლიანი გამოძიების გადაუდებელ აუცილებლობაზე, რაც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო გენდერული დისკრიმინაციით, განსაკუთრებით, დამნაშავის პოლიციელის

სტატუსის გათვალისწინებით, რამაც, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო მასში დაუსჯელობის განცდის ჩამოყალიბებას. გარდა ამისა, სასამართლომ უარყოფითად შეაფასა სისხლის-სამართლებრივი დევნისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის პროცესი იმის გამო, რომ არ იყო გათვალისწინებული გენდერული დისკრიმინაციის როლი მკვლელობაში, იმავდროულად, არ პასუხობდა კითხვებს, მოახდინა თუ არა ძალადობის მიმართ პოლიციის ტოლერანტობაზე გავლენა გენდერულმა დისკრიმინაციამ, ასევე, დახუჭეს თუ არა ოფიცრებმა თვალი დამნაშავის მიერ ჩადენილ ძალადობაზე. სასამართლომ განსაკუთრებით შემაშფოთებლად მიიჩნია ის ფაქტი, რომ დამნაშავემ გამოიყენა თავისი სამართალდამცავი თანამდებობა ძალადობის ჩასადენად, მიმდინარე ოჯახური ძალადობის კონტექსტში, რაც აშკარად წარმოადგენდა უშუალო საფრთხეს მსხვერპლისთვის.

საქმე შედის ჯგუფში „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემდებარება. ამ ჯგუფის საქმეები ეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, სახელმწიფოს პრევენციული ვალდებულებებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის სისტემურ პრობლემებს საქართველოში.

7. გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ

გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (2023) – no. 38650/18 – საქმეში ევროპულმა სასამართლომ გამოიკვლია სახელმწიფოს უუნარობა, მიეღო სათანადო პრევენციული ზომები ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დასაცავად, მიუხედავად იმისა, რომ სამარ-თალდამცავი ორგანოები მრავალჯერ იყვნენ ინფორმირებულნი მომჩივნის შვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ. მიუხედავად განმეორებითი შეტყობინებებისა, ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი დაცვა, რის შედეგადაც, ძალადობა დასრულდა მსხვერპლის გარდაცვალებით. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2018 წელს გაიგზავნა.** სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება და ასევე ვერ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიება, მათ შორის, არ შეაფასა გენდერული მოტივის შესაძლო როლი. შედეგად, დადგინდა მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ნაწილის დარღვევა, მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში.

საქმე შედის ჯგუფში „თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“, რომელიც **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემდებარება.

8. მატკავა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

მატკავა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (2023) – no. 3963/18 – საქმე შეეხება 2016 წელს საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფ-ლების ე.წ. მესაზღვრის მიერ **გიგა ოთხოზორიას მკვლელობის** ფაქტს. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2018 წელს გაიგზავნა.**

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია ევროპულ სასამართლოში წარდგენილ წერილობით არგუმენტაციაში აფხაზეთს „სუვერენულ სახელმწიფოდ“ მოიხსენიებდა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნების შუამდგომ-ლობა და დაავალა რუსეთის ფედერაციას, წარმოედგინა აფხაზეთის დე ფაქტო

ხელისუფლების მიერ გიგა ოთხოზორიას მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიების ფარგლებში მოპოვებული მთლიანი საგამოძიებო მასალების ასლები. რუსეთის ფედერაციამ ეს ვალდებულება არ შეასრულა. **გიგა ოთხოზორიას საქმეს აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, რადგან ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა, რამდენად ახორციელებს რუსეთის ფედერაცია ეფექტიან კონტროლს აფხაზეთის ტერიტორიაზე და რამდენად ეკისრება მას პასუხისმგებლობა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებებზე.**

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რუსეთის ფედერაციის მხრიდან კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) მატერიალური და პროცედურული ნაწილების დარღვევა, ასევე, კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევა, რადგან რუსეთის ხელისუფლებამ არ ითანამშრომლა სასამართლოსთან ფაქტების გამოკვლევის პროცესში.

საქმე მიეკუთვნება ჯგუფს **„მამასახლისი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“**, რომლის აღსრულებაც **გაძლიერებული ზედამხედველობას** ექვემდებარება.

9. სტორიმანს-ვერჰულსტ და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

სტორიმანს-ვერჰულსტ და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (2025) – no. 26302/10 – საქმეში სასამართლომ განიხილა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ქალაქ გორში ნიდერლანდელი ოპერატორის, სტან სტორიმანსის მკვლელობის ფაქტი. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2010 წელს გაიგზავნა.** მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ოპერატორი მოკლა რუსულმა საბრძოლო მასალამ, რომელიც მხოლოდ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებაში მოიპოვებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის ფედერაციამ ვერ ჩაატარა ეფექტიანი და დამოუკიდებელი გამოძიება ჟურნალისტის გარდაცვალების გარემოებების დასადგენად, შესაბამისად, მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) პროცედურული ნაწილი დაარღვია.

გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობის პროცედურა (სტანდარტული/გაძლიე-რებული) **ჯერ არ არის** **განსაზღვრული**.

წამების აკრძალვა (მუხლი 3)

10. ჩოხელი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ

ჩოხელი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (2016) – no. 16369/07 – საქმე შეეხება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქეების დაკავებას, პოლიციის განყოფილებებში არაადამიანურ პირობებში მოთავსებას, მათ დაჯარიმებას და რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში სამგზავრო თუ სატვირთო თვითმფრინავებით გამოძევებას. **კოლექტიური გამოძევების შედეგად დაზარალებული 11 პირის სახელით ევროპულ სასამართლოში საიამ საჩივარი 2007 წელს გააგზავნა.** ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საიას დაცვის ქვეშ მყოფი 8 პირის მიმართ რუსეთის ფედერაციამ დაარღვია კონვენციის მე-3

(წამების აკრძალვა), მე-5 (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება), მე-4 ოქმის მე-4 მუხლის (უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა) და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) მუხლები.

ეს საქმე არის „ბერძენიშვილი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“ გადაწყვეტილების (2016, nos. 14594/07, 14597/07, 14976/07, 14978/07, 15221/07, 16369/07, 16706/07) ნაწილი, რომლის აღსრულებაც **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემდებარება.

11. გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ

გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ (2019) – no. 40009/12 – ნიკოლოზ გოგუაძე 2011 წლის 26 მაისს ე.წ. ყინწვისის სპეცოპერაციის დროს დააკავეს. დაკავებისას და შემდეგაც გოგუაძე სამართალდამცავების მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა, მისი დასჯისა და აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2012 წელს გაიგზავნა.** ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანმა ხელისუფ-ლების კონტროლის ქვეშ ყოფნისას მიიღო მრავალი დაზიანება, რომლებიც მას დაკავებამდე არ ჰქონდა. გოგუაძის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე დაწყებული გამოძიება იყო არაეფექტიანი და გამოძიების პროცესში დაშვებული იყო მნიშვნელოვანი ხარვეზები.

გოგუაძის საქმე ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებში შედის და **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემდებარება.

12. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (2021) – nos. 73204/13, 74959/13 – ეს საქმე შეეხებოდა 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს განვითარებულ მოვლენებს. ამ დღესთან დაკავშირებით მომჩივნები გეგმავდნენ მშვიდობიანი აქციის გამართვას, რომლის მიზანი იყო საზოგადოების მგრძნობელობის გაზრდა საქართველოში ლგბტქი თემის დისკრიმინაციის მიმართ. 2013 წლის 17 მაისს დაგეგმილი მშვიდობიანი აქცია ვერ ჩატარდა, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ შეძლო აქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. რადიკალურად განწყობილი კონტრდემონსტრანტების ჯგუფის ქმედებები გასცდა მშვიდობიანი აქციის ფარგლებს და მიიღო კანონსაწინააღმდეგო და ძალადობრივი ხასიათი, რამაც საფრთხე შეუქმნა როგორც საზოგადოებრივ წესრიგს, ისე მომჩივანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2013 წელს გაიგზავნა.** ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევა დაადგინა.

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ხელისუფლებამ ვერ მიიღო ეფექტიანი ზომები ლგბტქი ადამიანების დასაცავად კონტრდემონსტრანტებისგან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯეროვნად იყო ინფორმირებული ამგვარი რისკის მოსალოდნელობის შესახებ. გარდა ამისა, მტკიცებულება, კონკრეტულად, დამოუკიდებელი ჟურნალისტების მიერ გადაღებული ვიდეომასალა, ადასტურებს სახელმწიფოს მხრიდან ძალადობრივი ქმედებების წაქეზებას. ევროპულმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ძალადობის უპრეცედენტო მასშტაბზე

ზეგავლენა მოახდინა ხელისუფლების უმოქმედობამ, რომელმაც ვერ ჩაატარა დროული და ობიექტური გამოძიება ლგბტ თემზე წარსულში განხორციელებული თავდასხმების თაობაზე და მიუთითა საქმეზე „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (2015, no. 73235/12).

საქმე შედის **იდენტობის ჯგუფში**, რომელიც **გაძლიერებული ზედამხედველობის** ქვეშაა.

13. კვირიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

კვირიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2022) – 34720/16 – 2014 წლის აგვისტოში მომჩივანი პოლიციამ საგზაო მოძრაობის წესების სავარაუდო დარღვევისთვის გააჩერა. მას შემდეგ, რაც კვირიკაშვილმა ჯარიმის დაკისრება გააპროტესტა, ოფიცრებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და დააკავეს. დაკავებიდან მეორე დღეს მომჩივარი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების კანონიერი ბრძანებებისადმი დაუმორ-ჩილებლობისთვის დამნაშავედ ცნეს და 600 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრეს. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2016 წელს გაიგზავნა.** ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად კვირიკაშვილის თანმიმდევრული განცხადებისა, რომელიც სამედიცინო მტკიცებულებებით იყო გამყარებული, ინციდენტის დროული და საკმარისი გამოძიება არ ჩატარდა. შედეგად, დადგინდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის როგორც არსებითი, ისე პროცედურული ნაწილის დარღვევა.

კვირიკაშვილის საქმე ცინცაბაძის ჯგუფში შედის და **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემდებარება.

14. ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ

ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ (2023) – no. 14142/15 – **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2015 წელს გაიგზავნა.** სასამართლომ გამოიკვლია მომჩივნის მიმართ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან სისტემატური არასათანადო მოპყრობის ფაქტები, რომლებიც შეეხებოდა მის სასტიკ ცემასა და სამარტოო საკანში მოთავსებას. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე ჩატარებული გამოძიების შედეგად, მომჩივნის მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით 7 ადამიანი გასამართლდა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა გამოძიების გაჭიანურებულ ვადებსა და ხარვეზებს. სასამართლოს განმარტებით, მაშინ, როდესაც მომჩივანმა 2012 წლის ოქტომბერში განაცხადა არასათანადო მოპყრობის შესახებ, ეროვნულ მექანიზმებს ხუთ წელზე მეტი დასჭირდა დამნაშავე პირების გამოსავლენად. სასამართლოს შეფასებით, 2012-2016 წლებში საგამოძიებო ორგანოების მხრიდან გამოიკვეთა ერთგვარი უმოქმედობა, უფრო მეტიც, მომჩივანს დაუსაბუთებლად არ ჰქონდა მსხვერპლის (დაზარალებულის) სტატუსი, რაც ხელს უშლიდა გამოძიებაში მის ჩართულობას. სასამართლოს თქმით, „დაგვიანებული მართლმსაჯულება უარყოფილი მართლმსაჯულების ტოლფასია” (“justice delayed is often justice denied”). სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ ჩაატარა არასათანადო მოპყრობის დროული და ეფექტიანი გამოძიება. შედეგად, დადგინდა მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ნაწილის დარღვევა.

ოჩიგავას საქმე ცინცაბაძის ჯგუფში შედის და **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემ-დებარება.

15. მამულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

[მამულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ](#) **(2024)** – no. 15355/15 – **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2015 წელს გაიგზავნა.** სასამართლომ გამოიკვლია მომჩივნის მიმართ პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული [წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები,](#) სასტიკი ცემა, სამედიცინო დახმარების დაგვიანება და ამ ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება. **ზაზა მამულაშვილმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პირველად 2010 წელს მიმართა.** იგი ერეკლე კოდუას მხრიდან ცემისა და არასათანადო მოპყრობის გარდა, პატიმრობის პირობებისა და პენიტენციურ დაწესებულებაში არაჯეროვანი სამედიცინო მომსახურების თაობაზეც დავობდა (Mamulashvili v Georgia application no. 71672/10). სახელმწიფომ 2014 წლის 17 თებერვალს მომჩივნის მიმართ ჩადენილი დარღვევა ცალმხრივი დეკლარაციით აღიარა. აღსანიშნავია, რომ მომჩივანი 2012 წელს განმეორებით არასათანადო მოპყრობას სწორედ სტრასბურგის სასამართლოში შეტანილი საჩივრის გამო დაექვემდებარა. დაზარალებულმა პროკურატურას 2012 წელსვე მიმართა, თუმცა საქმეზე გამოძიება არ დაწყებულა, მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო უწყებისთვის, ე.წ. ციხის კადრების გასაჯაროების შემდგომ, ცნობილი იყო პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სისტემური წამების პრაქტიკის შესახებ. უფრო მეტიც, 2014 წელს მომჩივნისთვის ცნობილი გახდა, რომ მის წამებაში მონაწილე პირები პენიტენციურ და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დააწინაურეს და ისინი სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე დანიშნეს. იმის გამო, რომ სახელმწიფო ახალი ხელისუფლების პირობებშიც არ აპირებდა საქმის გამოძიებას და კვლავაც განაგრძობდა მომჩივნისთვის სისხლის სამართლის საპროცესო ბარიერების შექმნას, ზაზა მამულაშვილმა, საიას დახმარებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განმეორებით მიმართა. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ნაწილები.

მამულაშვილის საქმე ცინცაბაძის ჯგუფში შედის და **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემდებარება.

სამართლიანი სასამართლოს უფლება (მუხლი 6)

16. მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

[მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ](#) **(2020)** – no. 30364/09 – **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2009 წელს გაიგზავნა.** სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-6 (1) მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა. გადაწყვეტილების თანახმად, ჩხრეკის დროს მომჩივანს დაუსაბუთებლად არ მიეცა დამსწრეების მოწვევის უფლება და ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ განიხილეს მისი არგუმენტი პოლიციელთა მხრიდან ნარკოტიკების ჩადებასთან [დაკავშირებით.](#)

საქმეზე გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებით ზოგადი ღონისძიებების აღსრულების მონიტორინგს მინისტრთა კომიტეტი ქართველიშვილის და როსტომაშვილის ჯგუფების ფარგლებში განაგრძობს.

17. ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2021) – no. 41674/10 – მომჩივნები სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის/მოძრაობის წევრები იყვნენ და 2009 წელს ხელი-სუფლების წინააღმდეგ გამართულ მასობრივ საპროტესტო აქციებში აქტიურად მონაწილეობდნენ. ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში საია ასაბუთებდა, რომ 2009-10 წლებში სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა მომჩივნებს მათი პირადი ჩხრეკის დროს ცეცხლსასროლი იარაღი და/ან ნარკოტიკული საშუალებები ჩაუდეს. ხოლო ეროვნული სასამართლოების მიერ მომჩივანთა მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები მხოლოდ ეფუძნებოდა: ჩხრეკისა და დაკავების ოქმებს; იმ პოლიციელთა ჩვენებებს, რომლებიც ჩხრეკისა და დაკავების ოპერაციებს ასრულებდნენ; ჩხრეკის შედეგად ამოღებულ მტკიცებულებებს. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2010 წელს გაიგზავნა.** სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) დარღვევა დაადგინა, რადგან მომჩივანთა ჩხრეკები ჩატარდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომლის სიზუსტე და სანდოობა ეროვნულმა სასამართლოებმა არც წინასასამართლო და არც არსებითი განხილვის სხდომებზე სათანადოდ არ შეაფასეს. გარდა ამისა, მომჩივანთა პირადი ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, თუმცა შესაბამისი დადგენილებები არ შეიცავდა არანაირ დასაბუთებას ამ აუცილებლობის შესახებ. ამასთანავე, ეროვნულმა სასამართლომ არ შეამოწმა ჩხრეკის კანონიერება და არ შეაფასა ის ფაქტი, რომ ჩვენების მიმცემ პოლიციელებს საქმესთან დაკავშირებით პირდაპირი ინტერესი ჰქონდათ.

საქმეზე გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით ზოგადი ღონისძიებების აღსრულების მონიტორინგს მინისტრთა კომიტეტი ქართველიშვილის და როსტომაშვილის ჯგუფების ფარგლებში განაგრძობს.

18. კალანდია საქართველოს წინააღმდეგ

კალანდია საქართველოს წინააღმდეგ (2021) – no. 57255/10 – საქმეში მომჩივანი თენგიზ კალანდია ამტკიცებდა, რომ 2009 წელს მას ნარკოტიკული საშუალება მისი ოპოზიციურად განწყობილი მეგობრის აქტიური მხარდაჭერის გამო ჩაუდეს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩხრეკის ჩატარებისას, ეროვნულ დონეზე სასამართლოს არ შეუმოწმებია ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა; მომჩივნის დაკავება და მის მიმართ ჩატარებული პირადი ჩხრეკა იყო უკანონო და დაუსაბუთებელი. ასევე, მომჩივანს ჩხრეკის დროს არ მიეცა დამსწრეების მოწვევის საშუალება. კალანდიას საქმეში მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო პოლიციელების ჩვენებები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მის დაკავებასა და ჩხრეკაში, იმავდროულად, იძიებდნენ ამ საქმეს. ეს პირები იყვნენ ბრალდების მხარის აქტორები, შესაბამისად – დაინტერესებულნი საქმის შედეგით. ამასთანავე, მათ მიერ მიცემული ჩვენებები იყო არსებითად წინააღმდეგობრივი და არ დასტურდებოდა სხვა არცერთი სანდო და ნეიტრალური მტკიცებულებით. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2010 წელს გაიგზავნა.**

შედეგად, სასამართლომ მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევა დაადგინა.

საქმეზე გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით ზოგადი ღონისძიებების აღსრულების მონიტორინგს მინისტრთა კომიტეტი ქართველიშვილის და როსტომაშვილის ჯგუფების ფარგლებში განაგრძობს.

19. შუბითიძე საქართველოს წინააღმდეგ

შუბითიძე საქართველოს წინააღმდეგ (2021) – no. 43854/12 – ამ საქმეში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას 2011 წელს ნარკოტიკული საშუალება (მარიხუანა) პოლიციელებმა ჩაუდეს. იგი სამართალდამცველებმა 2011 წლის 26 ივნისს დააკავეს ეჭვის საფუძველზე, რომ ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ტესტირების მომენტში მომჩივანი არ იყო ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ, თუმცა მის შარდში აღმოჩნდა კანაბისის კვალი. ამის შემდგომ, პოლიციელებმა, „ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე“, სასამართლოს განჩინების გარეშე, მომჩივანს ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რომელსაც მოწმეები არ დასწრებიან. სასამართლომ მომჩივანს მიუსაჯა 3-წლიანი თავისუფლების აღკვეთა და 2000-ლარიანი ჯარიმა. ასევე, მას 5 წლით შეეზღუდა მანქანის მართვის უფლება და სხვადასხვა საქმიანობის განხორციელება. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2012 წელს გაიგზავნა.** იმის გამო, რომ ეროვნულ სასამართლოს არ შეუფასებია ოპერატიული ინფორმაციის სიზუსტე და სანდოობა, სათანადოდ არ განიხილა მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი და მომჩივნის მთავარი არგუმენტები, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევა დაადგინა.

საქმეზე გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით ზოგადი ღონისძიებების აღსრულების მონიტორინგს მინისტრთა კომიტეტი ქართველიშვილის და როსტომაშვილის ჯგუფების ფარგლებში განაგრძობს.

20. ღლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

ღლონტი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (2025) – no. 13708/18 – საქმე შეეხება ე.წ. **„კაბელების საქმეზე“** თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების გასამართლებას სავარაუდო მითვისებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2018 წელს გაიგზავნა.** მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მათ არ ჰქონდათ სრულფასოვანი დაცვის სათანადო შესაძლებლობა, მათ შორის, ხელი არ მიუწვდებოდათ გარკვეულ მტკიცებულებებსა და დოკუმენტებზე, ხოლო ბრალდების სამართლებრივი გადაკვალიფიცირების შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ჩაჰბარდათ. ახალი განაჩენის გამოტანამდე თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გააფრთხილა მომჩივნები, რომ მათი ბრალდება შეიძლებოდა გადაკვალიფიცირებულიყო. სასამართლო პროცესი არ გადადებულა დამატებითი განხილვისთვის და ახალი ბრალდების შემადგენელი ელემენტები არ განხილულა სასამართლოში. მომჩივნებმა მხოლოდ მაშინ შეიტყვეს ფაქტების სამართლებრივი შეფასების შესახებ, როცა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ჩაჰბარდათ. ევროპული სასამართლოს განმარტებით, მსგავს გარემოებებში, როცა შესაძლებელია, დანაშაული

გადაკვალიფიცირდეს, დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს დაცვის განხორციელების პრაქტიკული, დროული და ეფექტიანი შესაძლებლობა. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევა დაადგინა.

საქმეს **წამყვანი** სტატუსი აქვს მინიჭებული და მისი აღსრულების ზედამხედველობა სტანდარტულ პროცედურას ექვემდებარება.

პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მუხლი 8)

21. ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ **(2016)** – no. 71776/12 – გადაწყვეტილება შეეხება პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის კონტექსტში. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2012 წელს გაიგზავნა.** მომჩივანი იყო დეიდა, რომელთანაც იზრდებოდა მისი სამი არასრულწლოვანი დისშვილი. მომჩივნის დის (ბავშვების დედის) გარდაცვალების შემდეგ ბავშვების საცხოვ-რებელ ადგილად ეროვნული სასამართლოების მიერ მათი მამის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა. ევროპულმა სასამართლომ მთლიანად გაიზიარა საიას მიერ წარდგენილი არგუმენტები და კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა დაადგინა, რადგან ბავშვები არ იყვნენ სათანადოდ ჩართულნი სამართალწარმოებაში, ხოლო ეროვნულმა სასამართლოებმა და სოციალურმა მუშაკებმა გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინეს ბავშვების საუკეთესო ინტერესები და არ მიიღეს მხედველობაში მათი სურვილი, ეცხოვრათ დეიდის ოჯახთან ერთად.

„ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ წამყვან საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება და სტანდარტულ ზედამხედველობას ექვემდებარება. გადაწყვეტილების აღსრულების პრო-ცესმა მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა მოახდინა შემდგომ საკანონმდებლო ცვლილებებზე, მათ შორის, სოციალური მუშაობის შესახებ კანონის და ბავშვის უფლებების კოდექსის მიღებაზე, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანაზე სასამართლო განხილვებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ. თუმცა, საკანონმდებლო გარანტიებსა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციას შორის არსებული მკვეთრი აცდენა კვლავ გამოწვევაა.

22. ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ **(2017)** – no. 38342/05 – საქმეში მომჩივნები დავობდნენ, რომ თბილისის ცენტრში, მომჩივანთა საცხოვრებელი კორპუსიდან ოთხი მეტრის მოშორებით მდებარე თბოელექტროსადგური საფრთხეს უქმნიდა მათ ჯანმრთე-ლობას და შეუძლებელს ხდიდა უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზებას. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2005 წელს გაიგზავნა.**

მომჩივნების მოთხოვნის მიუხედავად, ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკისრეს ქარხანას ზიანის შესამცირებლად კონკრეტული ზომების მიღება. ამგვარი ზომები შეიძლებოდა ყოფილიყო თბოსადგურის დავალდებულება, ღუმელებზე დაემონტაჟებინა სპეციალური ფილტრები, ან ზიანის გამომწვევი ქმედებები საცხოვრებლისგან მოშორებით განეხორციელებინა. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა საიას მიერ წარდგენილი არგუმენტები და დაადგინა, რომ საქართველომ დაარღვია მომჩივნების პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება მათ საცხოვრებელ ადგილას არსებული გარემოს დაბინძურების გამო (ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი).

საქმის აღსრულებაზე ზედამხედველობა უკვე დახურულია. აღსრულების პროცესში ევროპის საბჭო მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს ამონიტორინგებდა, რომლებიც, მათ შორის, გარემოსდაცვითი შეფასების და პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი რეგულაციების ჩარჩოს გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად.

23. ა. დ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

ა. დ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ **(2022)** – no. 57864/17 – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამი ტრანსგენდერი კაცის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) დარღვევა დაადგინა. **საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2019 წელს გაიგზავნა.** მომჩივნებმა ევროპულ სასამართლოს მიმართეს იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს საქართველოში საკუთარი გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის მიეღწიათ და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერი მათი გენდერული იდენტობის შესაბამისად შეეცვალათ. სასამართლომ მიიჩნია, რომ მკაფიო სამართლებრივი საფუძვლების არარსებობა შესაბამის ორგანოებს უტოვებს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებებს, რაც წარმოშობს თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების საფრთხეს გენდერის სამართლებრივი აღიარების თაობაზე განცხადებების განხილვისას.

საქმეს **წამყვანი** სტატუსი აქვს მინიჭებული და მისი აღსრულება **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემდებარება.

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მუხლი 11)

24. კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ **(2012)** – no. 1484/07 – **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2006 წელს გაიგზავნა.** სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნების დაკავება და 30-დღიანი პატიმრობა იყო თვითნებური და არ ეფუძნებოდა ნათელ, განჭვრეტად სამართლებრივ საფუძვლებს. ამასთანავე, საქმის განხილვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, მანდატურების წერილობითი ჩვენებების საფუძველზე, მომჩივნების მოსმენის გარეშე, იყო სამართლიანი სასამართლოს ელემენ-

ტარული პროცედურული მოთხოვნების სრული უგულებელყოფა. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ სახელმწიფომ არ წარმოადგინა შეკრების თავისუფლებაში ჩარევის საკმარისი, რელევანტური დასაბუთება და არაპროპორციული სანქცია გამოიყენა. ევროპულმა სასამართლომ, შეკრების თავისუფლების (მუხლი 11) დარღვევის გარდა, დაადგინა თავისუფლების უფლების (მუხლი 5), სამართლიანი სასამართლოს უფლების (მუხლი 6) და სისხლის სამართლის საქმეში გასაჩივრების უფლების (მე-7 ოქმის მე-2 მუხლი) დარღვევა.

გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობა ამჟამად დახურულია. აღსრულების პროცესში მინისტრთა კომიტეტმა შეაფასა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებითაც დაზუსტდა სასამართლოს მანდატურის უფლებამოსილებები, გადაიხედა ზეპირი მოსმენისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გარანტიები და ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა 90-იდან 15 დღემდე შემცირდა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუსაბუთებელ დაკავებასთან, განუჭვრეტელ აკრძალვებთან, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფასა და არაპროპორციულ სანქციებთან დაკავშირებული გამოწვევები კვლავ არსებით პრობლემად რჩება. ამის გამოხატულებაა: 2024 წლიდან მიმდინარე საპროტესტო აქციებში მონაწილეთა თვითნებური დაკავება და მათი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების პროცესები; 2024-2025 წლებში ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსებში შესული ცვლილებები, რომლებითაც ადმინისტრაციული სანქციები არაპროპორციულად გაიზარდა (მათ შორის, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა გაიზარდა 60 დღემდე); ასევე, შეკრების თავისუფლების შემზღუდველი, არაგანჭვრეტადი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების და დანაშაულების შემოღება.[1]

25. ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (2022) – no. 5631/16 – **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2016 წელს გაიგზავნა.** სასამართლომ გამოიკვლია პოლიციის მიერ მშვიდობიანი შეკრების დაშლა და 7 მომჩივნის დაკავება „პანორამა თბილისის“ სამშენებლო პროექტის წინააღმდეგ გამართულ აქციაზე უხამსი ლოზუნგის გამოყენების გამო. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ჩარევა იყო არაპროპორციული და არღვევდა მათი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულმა სასამართლოებმა არ განიხილეს მომჩივანთა ქცევით გამოწვეული საზოგადოებრივი ცხოვრების დარღვევის დონე, არ იმსჯელეს პროტესტის მშვიდობიან ფორმაზე და ფოკუსირდნენ მხოლოდ ფორმაზე, არ შეაფასეს განცხადების კონტექსტი და მიზანი. შედეგად, დადგინდა მე-11 მუხლის (შეკრების თავისუფლება) დარღვევა მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) შუქზე.

[1] იხ. საია და სხვები, „ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი - 2025 წლის 28 თებერვალი“, 2025, გვ. 82-105, https://www.gyla.ge/post/adamianis-uplebata-krizisi-dokumentirebis-angarishi [21.04.4026]; ასევე, „ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში 2025 წელს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასება, 2025 წლის 10 დეკემბერი“, გვ. 18-22, https://gyla.ge/post/adamianisuplebebisagartveloshi-2025-GYLA [21.04.4026; ასევე, „საია - „ქართული ოცნება“ შეკრების თავისუფლებაზე არაკონსტიტუციურ შეტევას ახალი საკანონმდებლო ინიციატივით განაგრძობს“, 09.12.2025, https://www.gyla.ge/post/GYLA-shekrebistavisuplebaze-shetevisshesaxeb [21.04.4026].

საქმე მიეკუთვნება ჯგუფს „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, რომლის აღსრულებაც **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემდებარება. ჯგუფის საქმეების კონტექსტში ევროპის საბჭო ამონიტორინგებს შეკრების თავისუფლების დარღვევებსა და ადმინისტრაციულ დაკავებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ჩარჩოს, აგრეთვე, არსებულ პრაქტიკას.

26. ცაავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

ცაავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ **(2025)** – nos. 13186/20, 16757/20, 20129/21, 20175/21, 39382/21 – ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება შეეხება 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტის წინ გამართული დემონსტრაციის ძალადობრივ დაშლას (ე.წ. გავრილოვის ღამე), რომლის დროსაც 26 მომჩივანი, მათ შორის, ჟურნალისტები და მშვიდობიანი დემონსტრანტები დაშავდნენ პოლიციის მიერ გამოყენებული ძალისა და რეზინის ტყვიების შედეგად (აქედან ოთხ პირს ან დაუზიანდა მხედველობა ან დაკარგა მთლიანად თვალი). **საქმეზე საჩივრები ევროპულ სასამართლოში საიას მიერ 2021 წელს გაიგზავნა 22 პირის სახელით (ბაღაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ; ქურდოვანიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ).** მომჩივანთა მტკიცებით, გამოყენებული ძალა იყო გადამეტებული და მათ მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ისინი მშვიდობიანად მონაწილეობდნენ აქციაში. ხოლო სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიება.

საქმეზე გადაწყვეტილება 2024 წლის 7 მაისს გამოვიდა, რომელიც შემდგომ მომჩივანთა მიერ გასაჩივრდა დიდ პალატაში. დიდმა პალატამ 2025 წლის 11 დეკემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში დეტალურად განმარტა კინეტიკური საშუალებების (რეზინის ტყვიების) გამოყენების წესი, რაც, ამ მხრივ, **პრეცედენტულია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ევროპის მასშტაბით. ფაქტობრივად, ამ გადაწყვეტილებამ სტრასბურგის სასამართლოს მექანიზმით საფუძველი დაუდო ევროპული სტანდარტის დადასტურებას კინეტიკურ საშუალებებთან დაკავშირებით და მბოჭავი იურიდიული ძალა მიანიჭა ამ საკითხთან მიმართებით არსებულ რბილ სამართალს.** სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ნაწილის დარღვევა, ასევე მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-11 (შეკრების თავისუფლება) მუხლების დარღვევები.

საქმეს წამყვანი სტატუსი აქვს და იგი **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემდებარება. ამ საქმის აღსრულება ზოგადი ღონისძიებების კუთხით გამოიწვევს საქართველოში კინეტიკური საშუალებების მარეგულირებელი ჩარჩოს ევროპულ კონვენციასთან თანხვედრაში მოყვანას. 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენები დღევანდელ რეალობაში აქტუალობას არ კარგავს. მშვიდობიანი პროტესტის ჩახშობა დღემდე სპეციალური საშუალებების – რეზინის ტყვიების, ცრემლსადენი გაზის, წყლის ჭავლის, წიწაკის სპრეის – გამოყენებით ხდება, რაც ხშირად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია.

27. მექვაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

მექვაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ **(2026)** – no. 37567/23 – საქმეში სასამართლომ გამოიკვლია 2023 წლის მარტში რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციაზე მომჩივნის

დაკავებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაკისრებული სანქციის კანონიერება. მომჩივანი იღებდა სამართალდამცავების მიერ სხვა პირის ძალადობრივ დაკავებას, რა დროსაც მათ ისიც დააკავეს, მიუხედავად იმისა, რომ ის გზის სავალ ნაწილზე არ იმყოფებოდა. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2023 წელს გაიგზავნა.**

სასამართლომ განმარტა, რომ დემონსტრაცია, მთლიანობაში, მიზნად არ ისახავდა პარლამენტის საქმიანობის ხელშეშლას. ხელისუფლებამ ვერ წარმოადგინა საკმარისი საფუძველი, რომლითაც უფლებაში ჩარევა საჭიროდ და პროპორციულად ჩაითვლებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არ არსებობდა არცერთი პირდაპირი და ობიექტური მტკიცებულება, გარდა პოლიციის ჩვენებისა. შედეგად, დადგინდა კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მე-11 (შეკრების თავისუფლება) მუხლების დარღვევა.

საქმე მიეკუთვნება ჯგუფს „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, რომლის აღსრულებაც **გაძლიერებულ ზედამხედველობას** ექვემდებარება.

საკუთრების უფლება (1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი)

28. კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ

კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ (2010) – no. 7975/06 – საქმე შეეხება საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა მიერ კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას. კილაძეების ოჯახი სასტიკი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა: კლაუს და იური კილაძეების მამა 1937 წელს დახვრიტეს საბოტაჟისა და ტერორიზმის ბრალდებით, 1938 წელს დედა გულაგში გაგზავნეს, ხოლო მათი მთელი ქონება კონფისკაციას დაექვემდებარა. ძმებმა, რომლებიც ამ დროისათვის 10 და 12 წლისანი იყვნენ, ორი წელი რუსეთში, ობოლთა თავშესაფარში გაატარეს, რის შემდეგაც ისინი ბებიასთან დააბრუნეს. 2005 წელს მათ მოითხოვეს კომპენსაცია საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერ-პლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ 1997 წლის კანონის საფუძველზე, თუმცა, შესაბამისი რეგულაციების არარსებობის გამო, კომპენსაციაზე უარი ეთქვათ. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2006 წელს გაიგზავნა.**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადეკვატური მარეგული-რებელი ჩარჩოს შექმნა სახელმწიფოს ვალდებულება იყო.

ამ საქმეზე ზედამხედველობა უკვე დახურულია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართ-ლოს ეს გადაწყვეტილება გახდა 2011 და 2014 წლებში კანონმდებლობის ცვლილებების საფუძველი, რითაც შეიქმნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლებისა და მათი მემკვიდრეე-ბისათვის ფულადი კომპენსაციის მიღების მექანიზმი. განისაზღვრა კომპენსაციის ოდენობაც.

29. შპს „ბექანასი“ საქართველოს წინააღმდეგ

შპს „ბექანასი“ საქართველოს წინააღმდეგ (2024) – no. 28407/19 – საქმეში კომპანიის საკუთრების უფლების შეზღუდვა გამოიწვია ადმინისტრაციული ორგანოებისა და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებმა, რომლებითაც კომპანიას დაეკისრა სანქცია ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის დროს დარღვევის გამო. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ გამოყენებული სანქციები იყო არაპროპორციული და გამოიწვია მისი ქონებრივი ინტერესების არსებითი დაზიანება, მათ შორის, საწარმოს საქმიანობის ფაქტობრივი შეწყვეტა. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2019 წელს გაიგზავნა.**

სასამართლომ დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების უფლება) დარღვევა, რადგან სახელმწიფოს ჩარევა არ იყო სამართლიან ბალანსზე დაფუძნებული და არღვევდა პროპორციულობის პრინციპს. ასევე, ეროვნული სასამართლოების მიდგომამ არ უზრუნველყო მომჩივნის ქონებრივი ინტერესების ეფექ-ტიანი დაცვა.

საქმეს წამყვანი სტატუსი აქვს მინიჭებული და მისი აღსრულების ზედამხედველობა სტანდარტულ პროცედურას ექვემდებარება.

თავისუფალი არჩევნების უფლება (1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი)

30. რამიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

რამიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (2018) – no. 48099/08 – საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ მას, როგორც მსჯავრდებულს, არ ჰქონდა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში, რადგან იმ დროისთვის მოქმედი კანონმ-დებლობა პატიმრებს ართმევდა აქტიური ხმის მიცემის უფლებას, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და სასჯელის ხანგრძლივობის მიუხედავად. **საქმეზე საჩივარი ევროპულ სასამართლოში 2008 წელს გაიგზავნა.**

სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლობა, რომელიც პატიმრებს უკრძალავდა ხმის მიცემას, იყო ზოგადი, ავტომატური, განურჩეველი ხასიათის და ვრცელდებოდა ყველა მსჯავრდებულზე, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის ბუნებისა, სიმძიმისა ან სასჯელის ხანგრძლივობისა. მართალია, 2011 წელს კონსტიტუცია და საარჩევნო კოდექსი შეიცვალა და ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებულ პატიმრებს მიეცათ ხმის მიცემის უფლება, თუმცა ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია მომჩივნის სიტუაციაზე 2008 წლის 21 მაისის არჩევნებთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა მომჩივნის მიმართ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის (თავისუფალი არჩევნების უფლება) დარღვევა.

გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობა დახურულია.